

შპს პალიტრა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2022

	31/12/2022	31/12/2021
ფული და ფულის ექვივალენტები	1,904,038	1,467,653
სავაჭრო მოთხოვნები	755,128	204,002
მარაგები	612,305	317,672
სხვა მიმდინარე აქტივი	1,103,607	50,345
ძირითადი საშუალებები	59,664	42,386
სულ აქტივები	4,434,741	2,082,058
კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	3,147,034	1,823,689
სულ კაპიტალი	3,147,034	1,823,689
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40,038	63,393
მიღებული ავანსები	987,613	-
საგადასახადო ვალდებულებები	260,056	182,976
სასესხო ვალდებულებები	-	12,000
სულ ვალდებულებები	1,287,707	258,369
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,434,741	2,082,058
	-	0

შპს პალიტრა

მოგება - ზარალის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2022

	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან/რეალიზაციიდან	6,017,123	3,439,451
მომსახურების/რეალიზაციის თვითღირებულება	(3,273,730)	(1,399,406)
საერთო მოგება/(ზარალი)	2,743,393	2,040,045
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	(1,192,540)	(851,476)
იჯარის ხარჯი	(40,487)	(36,737)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(17,230)	(14,133)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(250,798)	(166,830)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,501,056)	(1,069,176)
საოპერაციო მოგება	1,242,338	970,869
საპროცენტო ხარჯები	(4,564)	(18,090)
საპროცენტო შემოსავალი	6,673	6,289
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	78,898	31,156
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1,323,345	990,224
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	1,323,345	990,224

შპს პალიტრა
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2022

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი, 01 იანვარი 2021	833,465	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში/დაუფარავ ზარალში	990,224	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი, 2021	1,823,689	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში/დაუფარავ ზარალში	1,323,345	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი, 2022	3,147,034	(0)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს პალიტრა (400115111) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ანდრონიკაშვილის მე-2 შესახვევი, N27. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2022	103,643
31 დეკემბერი, 2022	138,151
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2022	(61,257)
31 დეკემბერი, 2022	(78,487)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2022	42,386
31 დეკემბერი, 2022	59,664

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივებში აღრიცხულია კონტრაქტორების წინაშე არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების უზრუველსაყოფად გაცემული გარანტიები. აღნიშნულ გარანტიებს გააჩნიათ 1 წლიანი ვადა და კომპანია მათ მიიღებს სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისთანავე.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, კოვიდ-19 პანდემიას და რუსეთ-უკრაინის ომს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის საქმიანობაზე.

26 სექტემბერი, 2023

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2022	103,643
31 დეკემბერი, 2022	138,151
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2022	(61,257)
31 დეკემბერი, 2022	(78,487)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2022	42,386
31 დეკემბერი, 2022	59,664

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივებში აღრიცხულია კონტრაქტორების წინაშე არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაცემული გარანტიები. აღნიშნულ გარანტიებს გააჩნიათ 1 წლიანი ვადა და კომპანია მათ მიიღებს სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისთანავე.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, კოვიდ-19 პანდემიას და რუსეთ-უკრაინის ომს გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის საქმიანობაზე.

26 სექტემბერი, 2023

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

